ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2833139

ნომერი: AR1432443

თარიღი : 16.08.2016

გაცემის თარიღი : 20.09.2016

გაცნობის თარიღი : 20.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აღმართი მეტეხი , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია ხოჯავა პ/ნ 01030040696
- თბილისი ნ.ფიროსმანის ქ. N 12

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის – არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის სამუშაოების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი - ისანი), მეტეხის აღმ. N3–ში, საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაში, შ.პ.ს. „სასტუმრო ძველი მეტეხი“-ს კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობის სამუშაოების განხორციელებას.

თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა; რეგისტრაციის N 882016331037, 01.06.2016 წ. საკადასტრო კოდი N 01.17.01.117.039; შ.პ.ს. „სასტუმრო ძველი მეტეხი“-ს დირექტორის გ. ოქრიაშვილის 15.08.2016 წლის თანხმობა; 2016 წლის 27 ივლისის იჯარის ხელშეკრულება; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი - ისანი), მეტეხის აღმ. N3–ში, საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაში, შ.პ.ს. „სასტუმრო ძველი მეტეხი“-ს კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge